შეგროვებული ჰონორარებიდან მიზნობრივი დაქვითვების და სხვა გამოქვითვების წარმოების შესახებ პოლიტიკა

ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციისთვის (შემდგომში - ,,ასოციაცია") შეგროვებული ჰონორარებიდან მიზნობრივი დაქვითვებისა და სხვა გამოქვითვების წარმოების შესახებ პოლიტიკა (შემდგომში - ,,პოლიტიკა") ასახავს სახელმძღვანელო პრინციპებს, წესებს და პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს ასოციაციის მიერ მიღებული ჰონორარ(ებ)იდან და/ან სხვა თანხებიდან შესაბამისი გამოქვითვების განხორციელებას და განაწილებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. პოლიტიკა უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, თანმიმდევრულობის, სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დაცვას საავტორო და მომიჯნავე უფლებების ადმინისტრირებაში.

პოლიტიკა ვრცელდება ასოციაციის უფლებამფლობელებზე. ასოციაცია უზრუნველყოფს პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნობრივი დაქვითვებისა და სხვა გამოქვითვების თაობაზე უფლებამფლობელებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ასოციაციის წევრი უფლებამფლობელები ეთანხმებიან პოლიტიკას, როგორც მათი წევრობის პირობების და უფლებების მართვის ნაწილს.

1. პოლიტიკის მიზანი და ფარგლები

1.1. პოლიტიკის მიზანია სამართლიანი და გამჭვირვალე ჩარჩოს ჩამოყალიბება, შეგროვებული ჰონორარებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიზნობრივი გამოქვითვებისა და სხვა დაქვითვების წარმოებისთვის, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს უფლებამფლობელების და სხვა პირებისთვის შეგროვებული თანხების თანაბარ და სამართლიან განაწილებას.

1.2. პოლიტიკა ვრცელდება ყველა ჰონორარსა და სხვა შემოსავალზე, რომლის მიღებასაც უზრუნველყოფს ასოციაცია, მის მიერ გაცემული ლიცენზიის და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

1.3. პოლიტიკა არეგულირებს უფლებების მართვის საფასურის, მიზნობრივი დაქვითვების და სხვა გამოქვითვების საკითხებს, იმ თანხებიდან, რასაც ასოციაცია აგროვებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სარგებლობისთვის და საქართველოს კანონმდებლობის და/ან აკრედიტაციით მინიჭებული უფლებამოსილებათა ფარგლებში.

1.4. გამოქვითვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული, ოპერაციული და სხვა ხარჯების დაფარვას, რომლებიც დაკავშირებულია უფლებების მართვასთან და შეგროვებული ჰონორარის და/ან სხვა თანხების განაწილებასთან.

1.5. მოსარგებლეებისგან მისაღები ჰონორარის და/ან სხვა შემოსავლების დაგვიანებით მიღების შემთხვევაში, ასოციაცია უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას. ნებისმიერი არაიდენტიფიცირებადი ჰონორარი ან ინახება დამოუკიდებელ ანგარიშზე და/ან გაითვალისწინება ჰონორარის შემდგომი განაწილებისას.

2. ტერმინთა განმარტება

2.1. **უფლებების მართვის საფასური** - ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის შესაბამისი პროცენტული ოდენობა, რომელიც მიმართულია ასოციაციის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად. ეს მოიცავს ასოციაციის ადმინისტრაციულ, ოპერაციულ და სხვა მომსახურებების ხარჯებს.

2.2. **ჰონორარები** - ნებისმიერი პირის მიერ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების და სხვა ობიექტების სარგებლობით მიღებული შემოსავლები, რომელსაც ასოციაცია აგროვებს ლიცენზიის გაცემის და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2.3. **გამოქვითვები** - ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის უფლებების მართვის საფასური და სხვა ხარჯები, რომელსაც ასოციაცია გამოქვითავს შეგროვებული ჰონორარიდან და/ან სხვა შემოსავლიდან

მიღებული თანხებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამფლობელებთათვის განაწილებამდე.

2.4. **საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები** - ასოციაციის მიერ გაწეული აუცილებელი და გონივრული ხარჯები ასოციაციის მართვის, ლიცენზირებისა და მისთვის აკრედიტაციით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, იურიდიული ხარჯების, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხარჯების, პერსონალის ხარჯების და ჰონორარის განაწილების საფასურით.

3. უფლებების მართვის საფასური

3.1. უფლებების მართვის საფასური შეადგენს ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის 20%-ს. აღნიშნული შემოიფარგლება ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების დასაფარად და გამიზნულია უფლებების მართვისა და დაცვისთვის.

3.2. უფლებების მართვის საფასური ნაწილდება ასოციაციის ხარჯებზე, როგორიც არის, ლიცენზირებასთან და ჰონორარის შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები, ტექნოლოგიის და ინფრასტრუქტურის ხარჯები, რომლებიც საჭიროა უფლებების მართვისა და ჰონორარის შეგროვება-განაწილებისთვის, საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა.

3.3. უფლებების მართვის საფასური გამოითვლება ასოციაციის მიერ შეგროვებული მთლიანი ჰონორარიდან ყოველგვარი გადასახადების და/ან სხვა ხარჯების და/ან სხვა გამოქვითვების გამოკლებამდე.

3.4. ასოციაცია უფლებების სამართავად გაწეული დასაბუთებული და დადასტურებული ხარჯების მიღმა ნებისმიერი თანხას, გარდა ასოციაციის მიერ სპეციალური მიზნობრიობით შექმნილი ფონდებისთვის გათვალისწინებული თანხისა, ანაწილებს უფლებამფლობელებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფლებების სამართავად გაწეული ხარჯები შეგროვებული ჰონორარის 20 პროცენტზე ნაკლებია.

3.5. უფლებების მართვის საფასურის სტრუქტურა ექვემდებარება ყოველწლიურად გადახედვას. ასოციაცია უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს უფლებების მართვის საფასურის მაჩვენებლებში, რომელიც უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.

3.6. უფლებების მართვის საფასურთან დაკავშირებული ცვლილება გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე.

4. კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი ფონდ(ებ)ის გამოქვითვები

4.1. ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარების ნაწილი გამოიყენება ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი იმ ფონდების საქმიანობისთვის, რომელთა მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებამფლობელების, რომელთა ინტერესებშიც მოქმედებს ასოციაცია, შემოქმედებითი და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

4.2. ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი ფონდ(ებ)ისთვის ჰონორარის ნაწილი გამოიქვითება იმ ინიციატივებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ ხელოვნებას, განათლებას და კულტურის შენარჩუნებას და/ან იმ შემთხვევებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ შეღავათებს და ფინანსურ დახმარებას, ამისათვის საჭიროების მქონე უფლებამფლობელებისთვის (მაგ. დახმარება ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უფლებამფლობელებისთვის და ა.შ.).

4.3. ამ პუნქტით გათვალისწინებულ დაქვითვებთან დაკავშირებული პირობები რეგულირდება ასოციაციის წესდებით და კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილი ფონდ(ებ)ის მიერ განსაზღვრული წესით.

5. ჰონორარის განაწილებისას განსახორციელებელი გამოქვითვები

5.1. ჰონორარის განაწილებისთვის განსახორციელებელი გამოქვითვები მოიცავს:

- საკომისიო ხარჯებს: ჰონორარის უფლებამფლობელებისთვის ინდივიდუალურად გადარიცხვასთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ, საბანკო და მასთან დაკავშირებული გადახდის სისტემით გათვალისწინებული გადასახადები.
- ვალუტის კონვერტაციის საკომისიო: ჰონორარის უცხო ქვეყანაში განაწილებისთვის გამოიქვითება საქართველოს ეროვნული ვალუტიდან შესაბამისი უცხოური ვალუტისთვის კონვერტაციით გათვალისწინებული საკომისიო. გამოქვითვა განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, გადარიცხვის დღეს არსებული კურსის შესაბამისად.

6. საგადასახადო გამოქვითვები

6.1. ასოციაცია შეგროვებული ჰონორარიდან მის განაწილებამდე უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოქვითვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. აუდიტი და გამჭვირვალობა

7.1. ასოციაცია ყოველი საფინანსო წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს საფინანსო წლის დასრულებიდან 8 თვის ვადაში, ამზადებს და საკუთარ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის გამჭვირვალობის ყოველწლიურ ანგარიშს.

7.2. ასოციაცია აუდიტის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი და საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებას, ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების გამჭვირვალობის და სიზუსტისთვის.

7.3. ასოციაცია აუდიტორის მიერ შედგენილ გამჭვირვალობის ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის წევრთა საერთო კრებას, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ფინანსურ ინფორმაციას უფლებების მართვის საფასურისა და ასოციაციის მიერ უფლებამფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურების შესახებ. ამ ინფორმაციაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სულ მცირე შემდეგი საკითხები:
    - უფლების სამართავად ასოციაციის მიერ გაწეული ყველა ფინანსური ხარჯი, მართვის ქვეშ მყოფი უფლებებისა და უფლებათა კატეგორიების მიხედვით.
    - ნებისმიერი არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც ერთი ან რამდენიმე უფლების კატეგორიას არ მიეკუთვნება, უნდა შეიცავდეს ამ ხარჯების განაწილების მეთოდის აღწერას;
    - ნებისმიერი ფინანსური ხარჯები, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯები;
- სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ფინანსური წლის განმავლობაში სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების ოდენობასა და თითოეულის მიზნობრიობის ტიპის თაობაზე ინფორმაციას.

- სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:
    - სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარებიდან უფლების მართვის საფასურის შესახებ, უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით;
    - სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარებიდან უფლებების მართვის საფასურის შესახებ,

უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ფინანსური წლის განმავლობაში სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების ოდენობასა და თითოეულის მიზნობრიობის ტიპის თაობაზე ინფორმაციას.

8. პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება

8.1. ასოციაცია პერიოდულად უზრუნველყოფს პოლიტიკის გადახედვას, მიზნობრივი დაქვითვებისა და სხვა გამოქვითვების წესების სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვისთვის. აღნიშნულის საფუძველზე ასოციაცია უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.